

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ოთარი კობახიძე

ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სრულყოფის
საკითხები საქართველოს ეკონომიკაში

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - 0204 შიფრი

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

/გ. ცაავა /

ოფიციალური რეცენზენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

//

ოფიციალური რეცენზენტი

მოწვეული პროფესორი

//

დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს ----- საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერ-
ტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

Summary

The thesis on the topic – “issues of refining fiscal and monetary policies in Georgian economy” - is quite timely under the conditions of market economy. The country faces many social and economic problems today and these problems need to be addressed as effectively as possible. There are two important moments of the transformation stage in the market economy. First, showing the advantages of market, as an economic system, and helping formation and proper functioning of market institutions and mechanisms. Second, conducting government regulations of the economy in the advisable scales, using the methods and instruments most fit to the current state of the country’s development to meet the demands of economic stability and real growth.

The thesis shows that the research topic is timely. The work shows the current stage of scientific study of the topic. The goal, the question, the object and the topic of the research, as well as methodology and informational basis is provided. Main results and scientific achievement are also discussed. It’s practical use is given. Thesis provides questions and answers on where does the problem discussed here, come from, as well as, what is already known about the problem, what makes the question relevant for scientific study, what alternative methods have already been used and which of them has been used in the current study.

It is important to combine the market forces available to government and market regulators to achieve stable growth in the economy and meet the demands of society. This determines the formation and functionality of flexible and effective regulative mechanism for current economic conjuncture for social and economic processes in the country.

Many theoretic aspects are discussed in the thesis. They span from budget and tax related, to money and credit related theories. Their strong and weak points are shown and analyzed ideas from old economic school, as well as, ways of improving and extending them. It is shown that different developed countries deal differently with the problem, which proves that all countries should overcome the difficulties individually.

Basis of fiscal policy is tax system. Tax system is based on tax and customs laws. They have already liberated but they can be further improved. Rational tax rates must be defined based on current fiscal policy. This will not change the tax system in its current state but it will correct fiscal policy priorities based on micro and macroeconomic methods.

Undesired level of coordination can be reached from three different reasons or their combinations: 1. Fiscal policy maker and monetary policy maker may have different goals. E.g. different views on what is better for the well-being of society. 2. Policy makers may have different views on effects of different fiscal or monetary policies. 3. Policy makers may have different expectations of the natural course of economic development in case of no policy involvement. Such differences may

arise if policy makers follow different economic theories or have different forecasts on values of exogenic variables.

Based on graphical analysis, dissertation shows the effects of economic decisions made by central bank and the government. It is shown why it is so hard to get a coordinated decision from them, even though it is required based on the laws in the country. Game theory methods are used to demonstrate and analyse the actions of fiscal and monetary policy makers. Logical analysis shows that in the complete absence of coordination it is possible to get a better result than while coordinating, if the macroeconomic calculations of the policy makers are false.

Monetary and fiscal policy decisions in Georgia are discussed in the thesis and it is argued based on analysis that these decisions may not have been the best for improving social and economic situation in the country.

A saying “coin has two sides” fits really well with the topic of the discussion line of the dissertation. There are many different strategies for achieving best economic outcome in theory but most of them are based on post factum knowledge. For example, it is always desired that the one with correct economic vision and model does the policymaking but initially no one knows whether any of the policy makers has the right forecast. Increasing coordination level may give a better result only on average but not necessarily the best outcome.

It is shown that the multiplier model best describes the effect of aggregate demand on production volume. In case of higher than equilibrium production level, producers will see that production is higher than what they are able to sell. The material and product storages will increase and profits decline. To achieve the equilibrium production level, producers will reduce production levels and fire the “extra” workers. The only profitable level of production is when the production level is exactly equal to the amount of consumer purchases.

It is proven that investments have multiplicative effect on production. When the volume of investments change, production levels change the same way initially. But the producers will get more income and there will be a secondary effect followed by changes in consumption, expenses and employment.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

1.1 საკვლევი თემის აქტუალურობა საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული საბაზრო მექანიზმების ფორმირება-ამოქმედებასა და მათი ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობასთან. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში წარმოშობილი მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დღის წესრიგში აყენებს მათი გადაწყვეტისათვის ყველაზე მოქნილი და ეფექტიანი გზების ძიებას. საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ერთი მხრივ, ბაზრის, როგორც ეკონომიკური სისტემის, უპირატესობათა მაქსიმალური გამოვლენა და საბაზრო ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფორმირება-ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკურად მიზანშეწონილი მასშტაბებით განხორციელება იმ ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც განვითარების მოცემულ ეტაპზე ყველაზე მეტად მიესადაგება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეალური ზრდის მოთხოვნებს. მიმდინარე ეკონომიკის სახელმწიფო-ებრივი რეგულირების სპეციფიკის, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების, რეგულირებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა-შესწავლა და მეცნიერული ანალიზი ნაყოფიერია მხოლოდ აღნიშნული საკითხისადმი სისტემური მიდგომის პირობებში. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეკონომიკა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, მოიცავს როგორც საბაზრო მექანიზმებს, ასევე სახელმწიფო რეგულატორებს, რომელთა ურთიერთზემოქმედების ეკონომიკაზე გავლენისადმი კომპლექსური მიდგომა, თავის მხრივ, მოითხოვს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებების გამოკვეთას, როგორცაა ფისკალური პოლიტიკა და მონეტარული პოლიტიკა, მათი ურთიერთკოორდინაციის როლისა და მნიშვნელობის

ამაღლებას გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მაკროეკონომიკური პროცესების ეფექტიანი რეგულირებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეული პრობლემა დაისვა, ერთი მხრივ, საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემების ფუნქციონირებაში არსებული მდგომარეობის საფუძვლიანი გაცნობისა და მეორე მხრივ, ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების მაკროეკონომიკური ასპექტების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ნორმალური და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით ცალკე აღებულ საბიუჯეტო-საგადასახადო ან ფულად-საკრედიტო მექანიზმებს არ შესწევს საკვანძო მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის უნარი. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს მათი ურთიერთკოორდინაციის აუცილებლობის აქტუალობას და ეკონომიკის მოთხოვნებისადმი მისადაგებას. ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში ფისკალური და მონეტარული მექანიზმების სისტემურ-კომპლექსური კვლევის აუცილებლობას განაპირობებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში მოქმედებს სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს მიმართული ფაქტორები, ამიტომ რეგულირების რომელიმე ინსტრუმენტის არაეფექტიანი და ეკონომიკის არსებული მოთხოვნებისადმი არაადეკვატური გამოყენება შეიძლება ნეგატიურად აისახოს სხვა რომელიმე მაკროეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის ხარისხზე. რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში დაიწყო როგორც სახელმწიფო ფინანსებთან, ასევე ფულადსაკრედიტო სფეროს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების ინტენსიური კვლევა. ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა სამეცნიერო ნაშრომებში ფუნდამენტურადაა განხილული ზემოაღნიშნულ რთულ ფენომენტთან დაკავშირებული მრავალმხრივი საკითხების სხვადასხვა ასპექტი. მიუხედავად ამისა, ნაკლებად არის შესწავლილი ფისკალური და მონეტარული მექანიზმების

კოორდინირებული ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, კოორდინაციის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში. შემდგომში თემის აქტუალურობა გაამყარა 2015 წელს ფულის ბაზარზე წარმოშობილმა სავალუტო კრიზისმა, რომელმაც მთელი რეგიონი მოიცვა და ცენტრალური ბანკისა და მთავრობის მმართველი გუნდის დაპირისპირების საგანი გახდა. სწორედ აღნიშნული პრობლემა დაედო საფუძვლად ჩვენს მიერ ეკონომიკური პოლიტიკის ზემოხსენებული მიმართულებების ფუნდამენტურ შესწავლასა და საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო მექანიზმების შეთანხმებული გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებას საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში და, შესაბამისად, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფო ორგანოებისა და ინსტიტუტების კოორდინირებული მოქმედების ქცევის მოდელის შექმნას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეული თემა აქტუალურია როგორც თეორიული თვალსაზრისით, ასევე მისი პრაქტიკული გამოყენების პოზიციიდან.

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს მიმდინარე ეკონომიკის პირობებში ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის, შესაბამისად, საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირების შესაძლებლობათა გამოვლენას და მათი კოორდინაციის როლის ამაღლებისათვის ღონისძიებათა შემუშავებას. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, იკვეთება კვლევის შემდეგი ამოცანები:

- სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთმიმართების პრობლემის დასმა და სახელმწიფო და კერძო სექტორების ურთიერთთანაფარდობის გამოკვლევა;
- ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მიმართ სხვადასხვა ეკონომიკური სკოლისა და მიმართულების დოქტრინალური მიდგომების შესწავლა და მათი სისტემატიზაცია;

- საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ანალიზი და საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების გამოვლენა;
- ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში ფულად-საკრედიტო სისტემის მონაწილეობის გამოკვლევა და ანალიზი;
- ფულის მასის სტრუქტურულ-დინამიკური ანალიზი და ფულის მიმოქცევის რეგულირების სრულყოფის როლის შეფასება;
- ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის აუცილებლობის დასაბუთება და მისი სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება.

წინამდებარე გამოკვლევა ატარებს სისტემურ-კომპლექსურ ხასიათს. იგი ეხება როგორც ფისკალური და მონეტარული მექანიზმებით ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თავისებურებებს, ასევე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შესახებ სხვადასხვა ეკონომიკური სკოლისა და მიმდინარეობის შეხედულებებისა და კონცეფციების ფუნდამენტურ ანალიზს, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობის განსაზღვრას და მონეტარული პოლიტიკის როლის გააზრებას, საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო მექანიზმების კოორდინაციის გაუმჯობესების სრულყოფის გზების ძიებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში არ არსებობს საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემების რეგულირების უნივერსალური წესები. ყველა ქვეყანა მათ საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე არეგულირებს.

1.3 კვლევის საგანი და ობიექტი. ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემაზე მეორე კომპლექსურ სამეცნიერო

გამოკვლევას, რომლის კვლევის ობიექტია სახელმწიფო ფინანსებთან და მონეტარულ სისტემასთან დაკავშირებული იმ თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების ერთობლიობა, რომლებთანაც დაკავშირებულია, თავის მხრივ, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თავისებურებანი.

1.4 კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. განხორციელებული კვლევის სტატისტიკურ ბაზას წარმოადგენს ოფიციალური მასალები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ანგარიშები, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები, ქვეყნის კონტროლის პალატის მოხსენებები საკვლევი პერიოდების ბიუჯეტების შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშებთან დაკავშირებით), აგრეთვე პერიოდული გამოცემების შესაბამისი პუბლიკაციები, ცალკეულ მკვლევართა მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები და ავტორის დამატებითი გაანგარიშებები.

1.5 კვლევის მეცნიერული სიახლე. ქვემოთ მოყვანილ ნაშრომში: დასაბუთებულია ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს შორის ურთიერთკოორდინაციის აუცილებლობა;

გრაფიკული ანალიზით ნაჩვენებია მტკიცებულებები ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის შედეგების არაერთგვაროვნების შესახებ და მსჯელობით დამტკიცებულია, რომ არ არსებობს პრობლემის ცალსახად გადაჭრის გზები;

შემუშავებულია წინადადებები საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლების პოზიციების ალტერნატიულად წარმოდგენის შესახებ;

დასაბუთებულია ფისკალური მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინების აუცილებლობა და მისი მნიშვნელობა;

ფულის მასის ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია ფულის მიმოქცევის რეგულირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები, შემოთავაზებულია ფულადი მასის გაანგარიშების ავორისეული ვარიანტი;

დასაბუთებულია ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის აუცილებლობა და შემოთავაზებულია მისი სრულყოფის ღონისძიებები.

1.6 მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. ვფიქრობთ, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების და მათ საფუძველზე შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემების ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფო ორგანოებისა და ინსტიტუტების ფუნქციონირების ხარისხის გაუმჯობესებას.

1.7 კვლევის შედეგების აპრობაცია და დანერგვა. შესრულებული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია სტუდენტურ აუდიტორიაში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების პროცესში, ასევე შემოთავაზებები შეიძლება აპრობირებული იქნას როგორც სამთავრობო გუნდის ასევე, ერვონულ ბანკის ფინანსური ანალიტიკოსების მიერ.

1.8 კვლევის შედეგების პუბლიკაციები. სადისერტაციო კვლევის პრობლემებთან მიმართებაში ავტორის მიერ 3 სამეცნიერო სტატია არის გამოქვეყნებული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალებში: „ეკონომიკა“, „ბიზნეს-ინჟინერინგი“, ასევე გამოქვეყნებულია სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2015 თემაზე: „საბანკო პროდუქტების თვითღრებულების განსაზღვრის თავისებურებები“.

1.9 ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო კვლევა შედგება შესავლისგან, სამი თავისა და 9 ქვეთავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან, შვიდი ნახაზისა და ექვსი ცხრილისგან, რომელიც მთლიანობაში მოიცავს კომპიუტერული წესით ნაბეჭდ 167 გვერდს.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა; შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანა, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.


ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხ-გაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემების შესახებ, რამ განაპირობა აღებული პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა, რა ალტერნატიული პრაქტიკული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წარმოდგენილ ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, კლასიკური და მონეტარიზმის სკოლის წარმომადგენლების თეორიები, გაანალიზებულია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და ხაზი აქვს გასმული სახელმწიფოს მონაწილეობის დონის როლს ეკონომიკის ბიზნეს სექტორში.

ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის და მის მიერ „ბაზრის ფიასკოთი“ განპირობებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ხარისხი არასოდეს არ არის იდეალური, რაზეც პასუხს „საზოგადოებრივი არჩევანის თეორია“ იძლევა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ, ერთი მხრივ, კონკრეტულად ვინ ახდენს სახელმწიფოს „ხილული ხელის“ ორგანიზაციას (ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ეკონომიკური სუბიექტები), ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის რომელ მიმართულებას (ან მიმართულებებს) ეფუძნება მათ მიერ შემუშავებული

ეკონომიკური პოლიტიკა. ამასთანავე, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ხარისხი, ჩვენი აზრით, პირდაპირპროპორციულ კავშირშია სოციალურ-ეკონომიკური, ინსტი-ტუციური და სტრუქტურული გარდაქმნების პროცესების ადეკვატური სახელმწიფო რეგულატორებისა და ინსტრუმენტების დაბალანსებულ გამოყენებასთან ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საბაზრო მექანიზმების გამოყენების შეზღუდვისა და საბაზრო კოორდინაციის ხარისხის შემცირების ტენდენციები. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში სახელმწიფო ბერკეტებისა და ინსტრუმენტების დაჯგუფება-კლასიფიკაციაში, ხშირ შემთხვევაში, გამოიყოფა ადმინის-ტრაციული და ეკონომიკური, პირდაპირი და არაპირდაპირი, საერთო და სელექციური მეთოდები. ამასთან, არასწორად მიგვაჩნია ადმინის-ტრაციული და პირდაპირი მეთოდების ერთმანეთთან გაიგივება, რადგან პირდაპირი ან არაპირდაპირი შეიძლება იყოს არა ადმინისტრაციული, არამედ რეგულირების ეკონომიკური ბერკეტები. მსგავსად აღნიშნულისა, თეორიულად არამართებულად მიგვაჩნია სამართლებრივი ინსტრუმენტების მხოლოდ არაპირდაპირი რეგულირების მექანიზმზე მიკუთვნება იქიდან გამომდინარე, რომ სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ეფექტიანი სახელმწიფოებრივი რეგულირების მამოძრავებელ ძალას, რომელიც სჭირდება როგორც ეკონომიკური, ასევე ადმინისტრაციული ბერკეტების მოქმედებაში მოყვანას. რაც შეეხება საერთო და სელექციურ მეთოდებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საერთო მეთოდებს მივაკუთვნოთ ადმინისტრაციული და არაპირდაპირი ეკონომიკური ბერკეტები, რადგან პირდაპირი ეკონომიკური ბერკეტები თავისთავად სელექციური ბუნებისაა (იხ. ნახ 1.1.).

ხასიათის ბერკეტების (ფასების კონტროლი, სახელფასო პოლიტიკა, ლიცენზირებისა და კვოტირების სისტემები, ანტიმონოპოლიური რეგულირება და სხვა) გამოყენება, ამცირებს ეკონომიკის ეფექტიანი



ნახაზი 1.1. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმებისა და მეთოდების პირობითი სქემა.

ფუნქციონირების პოტენციურ შესაძლებლობებს, თუმცა მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ნორმალური რეგულირება. პირდაპირი ეკონომიკური რეგულირების ბერკეტებს უპირატესად შეიძლება მივაკუთვნოთ ის საბიუჯეტო-საგადასახადო მექანიზმები, რომელთა გამოყენება ორიენტირებულია ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და ეკონომიკის სექტორების ინტერესების რეალიზაციასა და სტიმულირებაზე (სახელმწიფო კრედიტი, სახელმწიფო გარანტია, სუბსიდია, სუბვენცია, საინვესტიციო-საგადასახადო კრედიტი და სხვა). აღსანიშნავია, რომ მსგავსი პირდაპირი ეკონომიკური ბერკეტები უპირატესად სელექციური ხასიათისაა და ისინი, ადმინისტრაციული ბერკეტების მსგავსად, გარკვეულწილად ზღუდავს საბაზრო მექანიზმების ფუნქციონალურ შესაძლებლობებს, მაშინ, როდესაც არაპირდაპირი ეკონომიკური ბერკეტების (ფულის მასის რეგულირება, მონეტარული გადაცემის მექანიზმები, საგადასახადო განაკვეთები, საბაჟო-სატარიფო რეგულირება და სხვა) გამოყენება უშუალოდაა დამყარებული

საბაზრო იმპულსებსა და მოტივაციებზე, თუმცა არაპირდაპირი ბერკეტები, თავიანთი ბუნებიდან და გამოყენების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს წმინდა საბაზრო და ნაკლებად საბაზრო. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კლასიკური ინსტრუმენტები, რომლებშიც სავალდებულო რეზერვების მექანიზმი უფრო ნაკლებადაა ორიენტირებული საბაზრო რეგულაციებზე, ვიდრე რეფინანსირების განაკვეთის ან ღია ბაზრის ოპერაციების საბაზრო-მონეტარული მექანიზმები.

იმისათვის, რომ გამოვთვალოთ ეკონომიკაში სახელმწიფო და კერძო სექტორების ხვედრითი წონა, მივყვით მსჯელობათა შემდეგ თანმიმდევრობას: დავუშვათ, რომ ქვეყანაში წლის განმავლობაში შექმნილი ერთობლივი შიგა პროდუქტის ღირებულება პირობითად შეადგენს 10 მლრდ ლარს (აღვნიშნოთ G-თი). ვთქვათ, ერთობლივი შიგა პროდუქტის სიდიდეში სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილი ღირებულება არის 15 პროცენტი, ე.ი. 1,5 მლრდ ლარი (აღვნიშნოთ S-ით), ხოლო ერთობლივი შიგა პროდუქტის ღირებულების დანარჩენი ნაწილი 85 პროცენტი, ე.ი. 8,5 მლრდ ლარი იქმნება კერძო სექტორის სუბიექტების მიერ (აღვნიშნოთ P-თი). ამასთან, დავუშვათ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით გადაანაწილებს შექმნილი პროდუქტის 20 პროცენტს - 2 მლრდ ლარს (აღვნიშნოთ D-თი). სახელმწიფო და კერძო სექტორების სიდიდეთა გაანგარიშების დროს უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ სახელმწიფო ქმნის ერთობლივი შიგა პროდუქტის განსაზღვრულ ნაწილს და პარალელურად ახდენს მის გადანაწილებას, ამიტომ სახელმწიფოს მონაწილეობის ერთობლივი ეფექტი (სახელმწიფო სექტორი) შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$\frac{1,5 + 2}{10} * 100\% = 35\% \quad (S + D)\%$$

, ხოლო კერძო სექტორის მონაწილეობის წილი არის 85% (P).

სახელმწიფო და კერძო სექტორების ერთობლივი მონაწილეობის ეფექტი $(35\%+85\%) 120\%=(S+D)+P$ მივიღოთ 100-ად მთელად, მაშინ მივიღებთ შემდეგ პროპორციას:

$$\begin{aligned} (S+D+P) 120 & \text{---} 100 \\ (S+D) 35 & \text{---} X \\ \frac{S+D}{120} & \frac{35}{X} \\ X = \frac{35}{120} * 100\% & = \frac{35}{120} * 100\% = 29,16\% \end{aligned} \quad S+D+P$$

კერძო სექტორის წილი იქნება $100\% - 29,16\% = 70,84\%$ ტოლობების გარდაქმნების შედეგად მივიღებთ სექტორების გაანგარიშების ზუსტ ფორმულას. სახელმწიფო სექტორის მასშტაბის გამოსათვლელი ფორმულა იქნება:

$$R_1 = \frac{S+D}{S+D+P} * 100\%, \quad S+P=G, \quad \text{აქედან გამომდინარე:}$$

$$R_1 = \frac{S+D}{G+D} * 100\%$$

კერძო სექტორის სიდიდის გამოსათვლელ ფორმულას კი იქნება შემდეგი სახე:

$$R_2 = \left(1 - \frac{S+D}{G+D}\right) * 100\% = \frac{G+D-S-D}{G+D} * 100\% = \frac{G-S}{G+D} * 100\% = \frac{P}{G+D} * 100\%,$$

ე.ი.

$$R_2 = \frac{P}{G+D} * 100\%$$

$$R_1 + R_2 = \frac{S+D}{G+D} + \frac{P}{G+D} = \frac{S+D+P}{G+D} = \frac{G+D}{G+D} = 1$$

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში შესწავლილია მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემები და გაანალიზებულია, არსებული პრობლემების გადაჭრის სირთულეები.

არსებობს სამი შესაძლო მიზეზი ან რამდენიმე მათგანის კომბინაცია, რატომაც შეიძლება მივიღოთ კოორდინაციის არასასურველი დონე:

1. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება, ჰქონდეთ განსხვავებული მიზნები. მაგალითად, განსხვავებული ხედვა იმაზე, თუ რა არის უკეთესი საზოგადოების კეთილდღეობისათვის;
2. პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული შეხედულება იმ ეფექტებზე, რომლებსაც გამოიღებს გატარებული ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკა;
3. პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება ჰქონდეთ სხავდასხვა პროგნოზი ეკონომიკის მდგომარეობაზე ჩაურევლობის პოლიტიკის შემთხვევაში. ასეთი განსხვავება შეიძლება მომდინარეობდეს როგორც განსხვავებული ეკონომიკური თეორიებიდან, ასევე განსხვავებული პროგნოზებიდან ეგზოგენური ცვლადების მნიშვნელობების შესახებ.


ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში რომ ვიცოდეთ რომელ პოლიტიკის გამტარებელს აქვს უფრო ზუსტი ინფორმაცია, ადვილად გადავწყვეტდით კოორდინაციის პრობლემებს იმ მხარის პრიორიტეტებზე მუშაობით, რომელსაც უფრო აკურატული პროგნოზი აქვს, მაგრამ რეალობაში იშვიათად შეიძლება მსგავსი ტიპის ცოდნა გვექონდეს და დარწმუნებული ვიყოთ ამა თუ იმ პოლიტიკისა და პროგნოზის სისწორეში. შესაბამისად არ შეიძლება გავწეროთ რამე კონსტიტუციური წესი, რომლის მიხედვითაც ან ერთი ან მეორე მხარე ყოველთვის მართალი იქნება და, შესაბამისად, საუკეთესო გადაწყვეტილებად ამ შემთხვევაში გვევლინება ორივე პოლიტიკის გამტარებლისთვის გარკვეული ძალაუფლების დელეგირება, რათა მათ შეეძლოთ ერთმანეთის მოქმედებების გაბათილება. იმის სადემონსტრაციოდ თუ რატომ შეიძლება მივიღოთ კოორდინაციის

დაბალი დონე, სიმარტივისთვის, ვთქვათ, არსებობს ორი მიზეზი და ორი ინსტრუმენტი ამ მიზნის მისაღწევად.

ქვემოთ მოყვანილ სურათზე, გვაქვს ორი პოლიტიკა, ფისკალური და მონეტარული:


$Y - Y^*$ არის სხვაობა, მიმდინარე და პოტენციურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის. ეს პუნქტი ასევე სიმარტივისთვის ასახავს უმუშევრობის და ინფლაციის დონეებსაც, ხოლო $I/Y - (I/Y)^*$ არის ინვესტიციების წილი მშპ-ში.

პუნქტი A წარმოადგენს საპროგნოზო წერტილს, რომელსაც ეკონომიკა დაიჭერს, თუკი არცერთი მხრიდან ჩარევა არ მოხდება. ვექტორები m და f წარმოადგენენ, ექსპანსიური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის შედეგებს შესებამისად. ორივე პოლიტიკა ზრდის y -ს მაგრამ ასევე ინფლაციას, ხოლო უმუშევრობის დონე კი მცირდება. მონეტარული ექსპანსია ზრდის ინვესტიციებს, მაგრამ ფისკალური პირიქით ამცირებს მას. ვექტორი \overline{AO} ასახავს სრულად კოორდინირებული



ნახაზი 2.3.1. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა იდეალური კოორდინაციისას.

მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის მიერ მიღწეულ გლობალურ ოპტიმუმს. გზები \overline{AB} \overline{BO} ასახავს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გეგმებს ცალ-ცალკე, რის ხარჯზეც ხდება ოპტიმუმის მიღწევა. ახლა კი განვიხილოთ, თუ რა შეიძლება იყოს შედეგი, როდესაც ყველაფერი იდეალურად არ არის.



ნახაზი 2.3.2. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, განსხვავებული მიზნების შემთხვევაში.


სურათზე დაშვებულია, რომ პოლიტიკის გამტარებლები თანხმდებიან ეზოგენური ცვლადების რაოდენობრივი გამოხატულებების სისწორეზე და ეკონომიკურ პროგნოზზე, მაგრამ მათ განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკური ხედვა და მიზნები აქვთ. ფისკალური პოლიტიკა ცდილობს ეკონომიკა მოახვედროს F-წერტილში, მაშინ როდესაც ცენტრალური ბანკის პოლიტიკა მიმართულია M-წერტილისაკენ. ამ წერტილში ეკონომიკური აქტივობის დონე ოპტიმალურზე დაბალია, თუკი მთავრობას ექნებოდა საშუალება, ორივე ინსტრუმენტი თავის მიზნებისთვის გამოეყენებინა. \overline{ABF} იქნებოდა გზა რომლითც იგი ამ მიზანს მიაღწევდა. ცენტრალური ბანკის დომინანტური პოლიტიკა კი \overline{ADM} ვექტორზე გამოიხატებოდა. მონეტარული პოლიტიკა ნაკლებ ექსპანსიური იქნებოდა, ხოლო ფისკალური კი ნაკლებ შემზღვეველი. საინტერესოა, რა ხდება, როდესაც არცერთ მხარეს სრული კონტროლი არ აქვს, ისევე როგორც

ჩვენს რეალობაში. შედეგი ძნელი განსასაზღვრია. ერთი შესაძლო შედეგია, რომ ფისკალური პოლიტიკა თავის ოპტიმალურ \overline{AB} ვექტორს დაადგებოდა, ხოლოდ მონეტარული კი \overline{DM} -ს. ეს, რაღა თქმა უნდა, არაკოორდინირებული პოლიტიკის შედეგამდე - C წერტილამდე მიგვიყვანს, მაგრამ რამდენად ცუდია ასეთი შედეგი? C წერტილი არის გარკვეული კომპრომისი F და M წერტილებს შორის, რომლებიც, შესაბამისად, მთავრობისა და ეროვნული ბანკის დასახულ მიზნებს წარამოდგენს. თუ კი O წინა შემთხვევაში ოპტიმუმს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ძნელი განსასაზღვრი ცნებაა, მაშინ წერტილი C არც თუ უარესი შედეგია ვიდრე მთავრობის ან ეროვნული ბანკის დომინანტური „კოორდინირებული“ პოლიტიკა იქნებოდა. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ O-წერტილის მიღწევა მხარეების მხრიდან უკეთესი იქნებოდა, თავისთავად გასაგებია, მაგრამ ეს არ ასახავს რეალობას, რომელშიც ინტერესთა სხვადასხვაობა იჩენს თავს იმის თაობაზე, თუ რა არის სოციალური კეთილდღეობა. როგორ შეიძლება მივაღწიოთ კონსენსუსს პოლიტიკური კომპრომისის გარეშე? არაფერი გვაძლევს იმის წინასწარმეტყველების საშუალებას, რომ ასეთი კომპრომისი ეკონომიკას C-წერტილზე უფრო უკეთეს მდგომარეობამდე მიიყვანს. ფაქტობრივად გვიწევს იმის აღიარება, რომ იდეალური შედეგის მიღწევა რეალური პირობებში შეუძლებელია. ჩვენ გვინდა, რომ პოლიტიკის გამტარებლები ჭეშმარიტად ოპტიმალურ გეგმაზე შეჯერდნენ და სრული კოორდინაციის პირობებში მათხდინონ მისი განხორციელება, მაგრამ შეიძლება პოლიტიკის გამტარებლები სულაც არასწორ მიზნებზე შეჯერდნენ და თუნდაც იდეალურად კოორდინირებულმა პოლიტიკამ, არასასურველ სოციალურ ფონამდე მიგვიყვანოს.

მორიგი მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც შეიძლება კოორდინაციას ხელს უშლიდეს არის ეკონომიკური ხედვის სხვადასხვაობა. შეიძლება მთავრობა და სებ-ი თანხმდებოდნენ პროგნოზებზე და მიზნებზე, მაგრამ განსხვავებული ხედვა ქონდეთ იმაზე, თუ როგორ ცვლილებებს იწვევს

ეკონომიკაში მათ მიერ გატარებული პოლიტიკები. მაგალითად წარმოვიდგინოთ, რომ მიწოდების ზრდაზე ორიენტირებული მთავრობა თვლის, რომ გადასახადების შემცირებით მიაღწევს ექსპანსიურ ეფექტს და ინვესტიციებს არ დააზარალებს, ხოლო მონეტარისტული მიდგომის მქონე ცენტრალური ბანკი, თვლის რომ დეფიციტი კერძო ინვესტიციებს საგრძნობლად შეამცირებს.

სურათი 2.3.3.. ასახავს გრაფიკულად თუ რა შეიძლება მოხდეს ასეთ შემთხვევაში. კერძოდ მთავრობას სჯერა, რომ ორივე ინსტრუმენტის ექსპანსიური პოლიტიკისკენ მიმართვა, გამოიხატება \vec{m} და \vec{t} ვექტორებში (ფულის ზრდა, საგადასახადო პოლიტიკა) და შესაბამისად ოპტიმალური გზა იქნება \vec{ADO} , რომელიც მიიღწევა ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის \vec{DO} და საგადასახადო პოლიტიკის \vec{AD} -ს შეჯამებით, მაგრამ ცენტრალური ბანკის თვალთახედვით გატარებული პოლიტიკის მულტიპლიკატორები, არის \vec{m} და \vec{t} ვექტორები და გზა ოპტიმუმისკენ მიიღწევა \vec{ABO} ვექტორით.




ნახაზი 2.3.3. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, განსხვავებული ეკონომიკური ხედვის პირობებში.

სადაც ფისკალური პოლიტიკა ნაკლებ შემზოჭველია, ხოლო ფულად საკრედიტო პოლიტიკა - ნაკლებად ექსპანსიური, ვიდრე მთავრობის ნავარაუდევ ADO . ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ სად აღმოჩნდება ეკონომიკა ასეთ სიტუაციაში. ბევრი რამე შეიძლება მოხდეს, მაგალითად, თუ მთავრობის გეგმა საჯაროდ გაცხადებული სტრატეგიაა და სწორია, ოპტიმალურ წერტილში მოვხვდებით, მაგრამ თუ ცენტრალური ბანკის მოდელია სწორი, მაშინ ეკონომიკა F წერტილში აღმოჩნდება. ანალოგიურად, თუკი ადმინისტრაცია ცენტრალური ბანკის გეგმას მიყვება და იგი გამართლდება, ოპტიმუმს მივაღწევთ, მაგრამ თუ იგი მცდარია ეკონომიკა M წერტილში აღმოჩნდება. ასევე განვიხილოთ, თუ ორივე პოლიტიკის გამტარებელი საკუთარ ოპტიმალურ სტრატეგიას მიყვება, მაშინ ეკონომიკა C წერტილში აღმოჩნდება თუ ცენტრალური ბანკის ხედვაა სწორი, ხოლო G-ში - თუ ადმინისტრაციის ეკონომიკური მოდელი უფრო სწორია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოორდინაცია ეფექტური იქნება თუკი O სა M-ს ან O-სა F-ს (რომლებიც შესაბამისად ცენტრალური ბანკის დომინანტური პოლიტიკა და ადმინისტრაციის დომინანტური პოლიტიკის ნაჯვარებია) შორის მიღწეული წონასწორობები უკეთესია C და G წერტილებზე.

საინტერესო შემთხვევა, რომელიც ერთი შეხედვით არ შეიძლება საუკეთესო გადაწყვეტა იყოს, მაგრამ მაინც შეიძლება ჩაითვალოს კოორდინაციის ტიპად, არის ორი დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელი, რომლებიც არ ახდენენ ურთიერთშორის კოორდინირებას. ვნახოთ, თუ როგორი იქნება არც თუ ჰიპოთეტური დაშვების შემთხვევაში ეს თამაში ცენტრალური ბანკისა და ადმინისტრაციისათვის. სიმარტივისთვის დავუშვათ, რომ თითოეულ მხარეს აქვს ორი არჩევანი, შემაკავებელი ან ექსპანსიური პოლიტიკის გატარება. სურათზე 2.3.4. ჩანს სტრატეგიები ორივე მოთამაშისათვის. დაშვება მოვახდინოთ იმ კუთხითაც, რომ ისინი სხვადასხვა სტრატეგიებს ანიჭებენ უპირატესობას და იცინან ერთმანეთის პრეფერენციების შესახებ.

ზოგადად, ადმინისტრაცია ექსპანსიური პოლიტიკის მომხრეა, მისი პრეფერენციები კვადრატის დიაგონალს ქვემოთ არის ნაჩვენები, ადმინისტრაციის თვალთახედვით საუკეთესო სტრატეგიაა ქვედა მარჯვენა კვადრატი (1),



ნახაზი 2.3.4. ნემის წონასწორობა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ორი ინსტრუმენტის პირობებში.

სადაც ორივე მხარე ექსპანსიურ პოლიტიკას ატარებს. შესაბამისად ყველაზე ცუდი სტრატეგია არის (4), როცა ორივე მოთამაშე შემაკავებელ პოლიტიკას ატარებს. ცენტრალური ბანკის პრეფერენციები მოცემულია თითოეულ კვადრატში დიაგონალს ზემოთ და ვინაიდან ცენტრალური ბანკის მიზანი ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებაა, ადმინისტრაციის თვალთახედვით ყველაზე ცუდი სტრატეგია მისთვის პირიქით პრიორიტეტულია. რაც შეეხება გადაწყვეტილებებს სადაც ერთი შემაკავებელ, ხოლო მეორე კი ექსპანსიურ პოლიტიკას ატარებს, აზრიანია ვივარაუდოთ, რომ ორივე მხარის თვალსაზრისით ჯობია ფისკალური პოლიტიკა შემაკავებელი იყოს, ხოლო ბანკმა კი იაფი ფულის პოლიტიკა გაატაროს. შესაბამისად მარჯვენა ზედა კვადრატი უფრო მისაღებია ვიდრე მარცხენა ქვედა.

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ სად არის ნეშის წონასწორობა, შევხედოთ საკითხს ცენტრალური ბანკის თვალეზით, თუ იგი ექსპანსიურ პოლიტიკას გაატარებს, მაშინ მთავრობაც იგივეს იზამს, რაც მისთვის პრიორიტეტული სტრატეგიაა, ხოლო ეროვნული ბანკისთვის კი ყველაზე ცუდი. შესაბამისად იგი ჩათვლის, რომ მთავრობა ექსპანსიურ პოლიტიკას გაატარებს, და ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად ეროვნული ბანკი შემაკავებელ პოლიტიკას გაატარებს. შესაბამისად ნეშის წონასწორობა ქვედა მარცხენა კვადრატია, რომელიც, არცერთი მხარის საუკეთესო პრიორიტეტების მატარებელი არ არის, მაგრამ აზღვევს მათ ყველაზე ცუდი შედეგის მიღებისაგან. ეს არაკოორდინირებული პოლიტიკის პირობებში ყველაზე მისაღები შედეგია და ამასთანავე აზრიანიც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შედეგის მისაღებობა საორჭოფოა საზოგადოების თვალთახედვით რადგან პარეტო ოპტიმალური შედეგი ზედა მარჯვენა კვადრატია, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ და მთავრობასა და ცენტრალურ ბანკს შორის კოორდინაციით მისი მიღწევა შეიძლება, თუმცა თუ ისინი ვერ თანხმდებიან, მაშინ ერთადერთი ლოგიკური დასასრული ნეშის წონასწორობა იქნება, რომელიც უარესია, ორივე მოთამაშის თავსაზრისით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ კი არ ვართ, დარწმუნებულები თუ რომელი პოლიტიკის გამტარებელია სწორი, მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა გარკვეული კოორდინაციის მოთხოვნა, რათა თავი ავარიდოთ არასახარბიელო ნეშის წონასწორობას. თუმცა ფუნდამენტური პრობლემა ამით არ იჭრება, კოორდირებული ქმედებების მოთხოვნა ადვილია, მაგრამ განხორციელება ძნელი. ორივე პოლიტიკის გამტარებელს აქვს გამოკვეთილი მიზეზები, თუ რატომ არ ეთანხმებიან მეორე მხარეს.

ორ უკიდურესობას შორის როგორცაა პოლიტიკის მხოლოდ ერთი გამტარებლის არჩევა ან აბსოლუტური დისკოორდინაცია არსებობს ალტერნატიული კოორდინაციის მოდელიც რომელიც ლიდერი-მიმყოლის სტილში გადაწყდება. კერძოდ პირველი პოლიტიკის გამტარებელი აკეთებს

სვლას და შემდგომ მიმყოლი მისი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ახდენს რეაგირებას. ქართულ რეალობაში bdd დოკუმენტში უკვე განსაზღვრულია ბიუჯეტი, რომელიც დეფიციტურია შესაბამისად, სებ-ი გავლილი კონსულტაციების საფუძველზე ახდენს რეაგირებას, თუმცა, ბაზარზე უფრო აქტიური მოთამაშე ყოველთვის ცენტრალური ბანკია, რადგან ფისკალური გადაწყვეტილებები იმდენად ხშირად არ მიიღება, რამდენადაც მონეტარული პოლიტიკის ინტერვენცია ხორციელდება ბაზარზე სხვადასხვა ისტრუმენტების საშუალებით.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია სადისკუსიო საკითხები ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სფეროში, აღნიშნულია ფინანსური ლევერიჯის, ფისკალური მულტიპლიკატორისა და ფულადი მასის გამოთვლის და მულტიპლიცირების ასპექტების სრულყოფის აუცილებლობა.

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ამავე დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყაროა“, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ ეკონომიკის სისხლია, ხოლო მთლიანად „საბანკო სისტემა“ კი - მისი სისხლგამტარი არტერიებია, და აქერდან გამომდინარე შეიძლება ვაღიაროთ, რომ „ბანკები“ - უეჭველად, „გულებია“, მრომლებიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე, საქმიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებენ და სისხლგამტარი სისტემების მეშვეობით სისხლის (ფულის) გადატუმბვას ახორციელებენ. სამედიცინო ანალოგიის გაგრძელებით, შეიძლება ითქვას, რომ რამდენად წარმატებულია ბანკების საქმიანობა, იმდენად ისინი რითმიულად და პროდუქტიულად „ამოძრავებენ სისხლი (ფულს)“ და „ინფარქტის“ ზემოქმედებას არ განიცდიან, მათ „ტრომბი“ არ ემურებათ და

მათი სასიცოცხლო საქმიანობის მეშვეობით ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური განვითარების შესახებ მსჯელობა არის შესაძლებელი. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80 – 90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ამასთან, ისიც არის უმნიშვნელოვანესი, რომ საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა არის შესაძლებელი, რომლის გაუთვალისწინებლობა შეიძლება ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გართულების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც კი იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში თანამედროვე საბანკო სისტემაში ანგარიშსწორებებისათვის ძირითადად საბანკო ანგარიშები გამოიყენება და ჩეკების, საკრედიტო ბარათების, უნაღდო ანგარიშსწორების სახით - საბანკო ფულის ერა ყალიბდება.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ირვინგ ფიშერის ფორმულაში ($Q \times P$) - ნომინალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეკ) (gross national disposable income - CDI) მაჩვენებლის შესაბამისია (იგი ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის - მშპ-ის მაჩვენებლის თითქმის იდენტურია), ანუ $(Q \times P) = CDI$ (მეკ-ს) და საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოებ $(D \times Bm) = ((D \times (1 - r) / (r + c))$ პროცესების გათვალისწინებით, თანამედროვე განვითარებული საბანკო სისტემის პირობებში მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი მასის რაოდენობრივი გაანგარიშების ფორმულა ჩვენი მტკიცებით შემდეგი სახით უნდა იქნეს ჩამოყალიბებული:

$$M = ((Q \times P) / V) - (D \times Bm) = (CDI / V) - (D \times Bm) = \\ = ((CDI / V) - (D \times (1 - r) / (r + c)) ,$$

სადაც : M - არის მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი მასის რაოდენობა;

CDI - არის (gross national disposable income) მთლიანი ეროვნული

პროდუქტის (მეპ) ღირებულება;

V - არის ერთი ფულადი ერთეულის ბრუნვის სიჩქარე;

D - არის საბანკო სისტემაში არსებული რესურსების (დეპოზიტების) მოცულობა;

Bm - არის საბანკო მულტიპლიკატორის მნიშვნელობა;

r - არის ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი სავალდებულო რეზერვების ნორმატივი (პროცენტულად ათწილადებში);

c - არის ბანკის კლიენტების მიერ საკუთარი ანგარიშიდან აღებული სესხის გარკვეული ნაწილის ნაღდი ფულის სახით გატანილი თანხა,(პროცენტულად ათწილადებში).

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის წლიური ანგარიშის (2014 წ.) მიხედვით (www.nbg.gov.ge):

- ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 29,187,0 მლნ ლარია;
- ფულის მიმოქცევის სიჩქარე - 2,40;
- ფულის მულტიპლიკატორი (M2) - 1,31;
- ნაღდი ფული მიმოქცევაში - 2,462,108 ათ. ლარია;
- ფართო ფული (M2) - 5,911,310 ათ. ლარია;
- დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში - 3,968,728 ათ. ლარია;
- დეპოზიტები უცხოურ ვალუტასი - 5,278,526 ათ. ლარია.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$\text{ფულადი მასა } M = \frac{\text{მშპ}}{V} = \frac{29,187,000,000}{2,40} = 12,161,250 \text{ ათ. ლარს.}$$

გამომდინარე იქედან, რომ მიმდინარე პერიოდისათვის ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი დეპოზიტებისათვის: ეროვნულ ვალუტაში 10%-ის და უცხოურ ვალუტაში 15%-ის ოდენობით არის დადგენილი, და ბანკების მიერ

გაცემული სესხების მთლიანი მოცულობიდან ნაღდი ფულის სახით $c = 50\%$ -ის ოდენობით გატანის შემთხვევაში, რეალური საბანკო მულტიპლიკატორი ტოლი იქნება:

- ეროვნულ ვალუტაში $B_m = (1 - r) / (r + c) = (1 - 0,10) / (0,10 + 0,50) = 1,5$;
- უცხოურ ვალუტაში $B_m = (1 - r) / (r + c) = (1 - 0,15) / (0,15 + 0,50) = 1,3$.

შესაბამისად, აღნიშნული პერიოდისათვის ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში არსებული დეპოზიტების მეშვეობით თავისთავად ახალი უნაღდო ფულადი მასა იქმნება: $(3,968,728 \times 1,5) + (5,278,526 \times 1,3) = 12,815,176$ ათ. ლარის მოცულობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება სამართლიანად ავლნიშნავთ, რომ ქვეყანაში ასეთი მოცულობის (29,187,0 მლნ ლარი) მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და ფულის ბრუნვის სიჩქარის პირობებში, მანამ სანამ მშპ-ის მოცულობა თუნდაც 5 – 10-ჯერ არ გაიზრდება და საბანკო სექტორის მონაცემები მშპ-სთან მიმართებაში სავარაუდოდ: აქტივები 90 %-ზე მეტი, კაპიტალი 14 – 15 % და კრედიტები 55 – 60 % არ გახდება, ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში პერიოდულად ახალი ნაღდი ფულადი მასა კი არ უნდა გამოშვას, არამედ ჯერ-ჯერობით კომერციული ბანკების მოთხოვნის შესაბამისად (და მათ მიერ მის ანგარიშზე უნაღდო რესურსის გადარიცხვის შემთხვევაში) უნდა გასცეს ნაღდი ფული.

ავლნიშნავთ, რომ მოცემულ ფორმულაში აღნიშნული შესწორება აქტუალურია, თუმცა ჩვენი მოსაზრებით ზემოაღნიშნული ფორმულის კიდევ მეტად სრულყოფა არის საჭირო, კერძოდ: გასათვალისწინებელია საქართველოს ეკონომიკის 80%-იანი ზედოლარიზაციისა (ზომიერი დოლარიზაცია არის არსებული დეპოზიტების 30%-იანი დონის შეანრჩუება) და ასევე საბანკო სისტემის გარეთ არსებული აღურიცხავი ნაღდი უცხოური ვალუტის მოცულობის რეგულირების საკითხები. გაანალიზებული მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაანგარიშების მსოფლიოში აღიარებული ფორმულები და ამერიკელი მეცნიერის ირვინგ ფიშერის ცნობილ ფორმულაში, გამომდინარე იქედან, რომ ფორმულაში (Q

x P)-ს მნიშვნელობა CDI-ის, ანუ ნომინალური მთლიანი ეროვნული პროდუქტისა (მეპ-ის) ტოლია და საბანკო სისტემაში დეპოზიტების (რესურსების) მულტიპლიკაციური გაფართოების შედეგად წარმოშობდი ფულადი მასის მოცულობის $(D \times Bm) = ((D \times (1 - r) / (r + c))$ გათვალისწინებით, შეთავაზებულია მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაანგარიშების ფორმულის ავტორისეული ვარიანტი:

$$M = (Q \times P) / V - (D \times Bm) = (CDI / V) - (D \times Bm) = ((CDI / V) - (D \times (1 - r) / (r + c))).$$

ზოგადი დასკვნები

ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება რიგი დასკვნებისა და შეთავაზებების გაკეთება, კერძოდ:

1. მთავრობა დგას მუდმივი წინააღმდეგობების წინაშე, რომელიც უკავშირდება ბიუჯეტის შევსებასა და ეკონომიკის სტიმულირების ამოცანებს შორის არათავსებობადობას, ერთერთის პრიორიტარიზაცია იწვევს მეორის დეფიციტურობას.
2. ეროვნული ბანკი, საკონსტიტუციო და საკონონმდებლო დონეზე არის აბსოლიტურად დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში, რაც ქმნის საშუალებას, რომ იგი წარმოადგენდეს კონტრბალანსს, ადმინისტრაციული მთავრობის არასწორი გადაწყვეტილებების შემთხვევაში, როგორც ეკონომიკური მოთამაშე. საქართველოს ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას და ახორციელებს შესაბამის ოპერაციებს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების საშუალებით, რითაც მიიღწევა მისივე მიერ განსაზღვრული სათარგეთო მიზნები.
3. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, თავის თავში მოიცავს არა კოორდირებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარების საფრთხეს, რასაც მრავალი მიზეზი აქვს როგორებიცაა: პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები, განსხვავებული ეკონომიკური მოდელების ქონა, განსხვავებული საპროგნოზო

მონაცემები, განსხვავებული ხედვა სოციალურ კეთილდღეობაზე და ა.შ.

4. თეორიული ანალიზი აჩვენებს, რომ რეალურ სიტუაციებში, შეუძლებელია აბსოლუტური კოორდინაციის მიღწევა და ასეთის არსებობის შემთხვევაშიც არ არსებობს გარანტია, რომ გატარებული პოლიტიკა, სოციალური კეთილდღეობის სათანადო დონესთან მიგვიყვანს.
5. საკამათო საკითხად რჩება კოორდინაციის აუცილებლობა და ასევე უფლებების გადანაწილება, ადმინისტრაციულ მთავრობასა და ცენტრალურ ბანკს შორის. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, არ არსებობს სრული კოორდინაციის უპირატესობის მხარდამჭერი არგუმენტი, წმინდად თეორიულადაც კი. მეორე მხრივ არა კოორდინირებული ქმედებაც, გარკვეულ წილად კოორდინაციად შეიძლება განიხილოს, წინადადების პარადოქსული ჟღერადობის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში ვიღებთ ნემის წონასწორობას, რომელიც არ არის პარეტო ოპტიმალური, თუმცა ეს უკანასკნელი რაციონალურ სტრატეგიას წარმოადგემს, ორივე პოლიტიკის გამტარებლისათვის.
6. „მედალს ორი მხარე აქვს“. არსებობს მრავალი სტრატეგია თეორიაში, რომლის მიხედვითაც შეიძლება უკეთესი ეკონომიკური შედეგების მიღწევა, თუმცა მათი უმრავლესობა ეყრდნობა “post factum“ ცოდნას, მაგალითად, ყოველთვის გვინდა, რომ პოლიტიკა მან გაატაროს ვისაც სწორი ეკონომიკური ხედვა და მოდელი გააჩნია, მაგრამ წინასწარ არავინ იცის არის თუ არა, რომელიმე მხარე მართალი თავის პროგნოზებში. კოორდინაციის დონის ამაღლებამ შეიძლება მხოლოდ, საშუალოდ უკეთესი შედეგი მოგვიტანოს, მაგრამ არა აუცილებლად საუკეთესო.
7. განხილული თეორიებიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ცალკე „ბონდიზმი“ ან ლიდერისა და მიმყოლის სტრატეგიები, არ

წარმოადგენს ცალმხრივ პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმებს, მითუმეტეს საქართველოსათვის.

8. ბაზელი I-თან შედარებით, ბაზელი II-ის ძირითადი მოდიფიკაციის მიზეზი გახდა - საკრედიტო რისკის გაანგარიშების სამ ხერხს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, როგორებიცაა: სტანდარტული მოდგომა (standardized approach – SA); მიდგომები შიდა რეიტინგების საფუძველზე (internal rating-based approach – IRBA); სრულყოფილი მიდგომა (A-IRBA).
9. ბაზელი III შეთანხმებაში მრავალი კარდინალური ნოვაციები იქნა შეტანილი, კერძოდ, ლევერიჯი (Leverage, ბერკეტი), რომელიც არის: „მოგების ფორმირების მართვის ფინანსური მექანიზმი, დაფუძნებული კაპიტალის ცალკეული სახეობების ან დანახარჯების ცალკეული სახეობების საჭირო თანაფარდობის უზრუნველყოფაზე.
10. საბანკო თანამეგობრობაში აქტიური დისკუსიის გათვალისწინებით, ფინანსურ სტაბილურობასთან მიმართებაში საბჭომ და ბაზელის კომიტეტმა საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში მაჩვენებლების სისტემა შეიმუშავეს, რომლებიც გლობალურ სისტემურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტებისადმი ბანკების მიკუთვნების შესაძლებლობას იძლევა.
11. ბანკების ზედამხედველობასთან მიმართებაში ბაზელის კომიტეტმა 2012 წელს ეროვნული სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების საქმიანობის რეგულირების მექანიზმის სახელმძღვანელო პრინციპები დაამუშავა. მათთან შესაბამისობაში ეროვნულ დონეზე რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოებმა სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების შეფასების საკუთარი მეთოდოლოგია უნდა შეიმუშაონ, რომელიც მათი შესაძლო გაკოტრების შედეგებისა და ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების შესაბამისობის გამათვალისწინებელი იქნება.

12. ინვესტიციები წარმოების მოცულობაზე მულტიპლიკაციურ ეფექტს ახდენს. როდესაც ინვესტიციის მოცულობა იცვლება, წარმოების მოცულობა თავიდან ასევე იმავე სიდიდით იცვლება. მაგრამ რამდენადაც მეწარმეები მეტ შემოსავალს მიიღებენ, აღნისნულს თან მოხმარების, ხარჯებისა და დასაქმების დონის მოცულობაში რიგი მეორადი ცვლილებები მოყვება. თუ კი დამატებითი შემოსავლის თითოეულ დოლარზე ხარჯების დონე ყოველთვის r -ის (მოხმარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება) ტოლი იქნებოდა, რომელიც მიდის მოხმარებაზე, მაშინ მულტიპლიკატორის ტოლი ცვლილების სიდიდე გაიანგარიშებოდა ფორმულით: $1 + r + r^2 + \dots = 1 / (1 - r) = 1 / (1 - \text{მზმ}) = 1 / \text{მზმ}$.
13. უმარტივესი მულტიპლიკატორი უკუ პროპორციულია მოხმარების ზღვრული მიდრეკილების (მზმ), ანუ ტოლია სიდიდის $1 / (1 - \text{მზმ})$. მულტიპლიკატორი მოქმედებს იმავე მიმართულებით, როგორც ინვესტიციების ცვლილება, რომელიც თავისთავად იწვევს წარმოების მოცულობის როგორც გადიდებას, ასევე შემცირებასაც. მოცემული სიტუაცია შეიძლება დავინახოთ ყოველთვის, რამდენადაც შემოსავალი ყოველთვის 1 დოლარზე უფრო მეტად უნდა იზრდებოდეს, რომ დანაზოგების თანხა დოლარზე უფრო მეტად გაიზარდოს.
14. საჭიროა დავიმახსოვროთ შემდეგი: მულტიპლიკატორის უმარტივესი მოდელი წარმოებისა და შემოსავლის სიდიდის ცვლილებაში მოთხოვნის სიდიდის ცვლილების განსაკუთრებულობაზე უსვამს ხაზს. ამასთან ყველაზე მთავარია - იგი რესურსების არასრულად გამოყენების სიტუაციისათვის არის მოხერხებული.
15. გადასახადების დონის შემცირება, კერძო ინვესტიციებისა და სახელმწიფო ხარჯების უცვლელობის დონისას, ეროვნული წარმოების წონასწორობის დონეს ამაღლებს. მაგრამ რამდენადაც არსებული შემოსავლის თითოეული დამატებითი ლარი მხოლოდ

ნაწილობრივ მიდის დანაზიგებზე, მოხმარების გადიდება ზუსტად არ შეესაბამება არსებული შემოსავლის ნაზარდს, აქედან გამომდინარე, გადასახადების მულტიპლიკატორი ნაკლებია სახელმწიფო ხარჯების მულტიპლიკატორზე.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. მონეტარული პოლიტიკის თეორიული საფუძვლები და არსი. (14.02.2015)
2. ფისკალური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები და არსი (04.07.2015);
3. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემები (13.02.2016).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. კობახიძე ო.-საქართველოს ფისკალური სისტემა.-თბილისი, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1-2, 2016.-176-180 გვ.
2. კობახიძე ო.-მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემების თეორიული ასპექტები.-თბილისი, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „ეკონომიკა“, №3-4, 2016.-145-154 გვ.
3. კობახიძე ო.-საქართველოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის საკითხები.-თბილისი, საერთაშორისო რეფერი-რებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „ეკონომიკა“, №3-4, 2016.-109-119 გვ.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. კობახიძე ო.-საბანკო პროდუქტების თვითღირებულების განსაზღვრის თავისებურებები.- „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სეუ 2015“.2016,-27-30 გვ.